ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5005200113 201 წ.
13.12.2013

5005200113

შპს გარდაბნის თბოსადგური-ს გენერალური
დირექტორს ბატონ გიორგი აბრამიშვილს

(თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ კორ. 2 ბ. 26)

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2013 წლის 3 დეკემბრის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1006894113) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N005649513 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი
ბიუროს უფროსი

005649513

## ექსპერტის დასკვნა № 005649513

### გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

### ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

**დამნიშნავი :**

ორგანიზაცია: შპს გარდაბნის თბოსადგური

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ კორ. 2 ბ. 26

სახელი და გვარი: გიორგი აბრამიშვილი

საფუძველი: მომართვა

**შემსრულებელი ექსპერტები :**

ზურაბ კლდიაშვილი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 1 წლის სტაჟით.

ზაზა კაციტაძე / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 9 წლის სტაჟით.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის NGEO-268-20432279 ISO/IEC 17024 შესაბამისობის სერტიფიკატი P-0050 და A-0033

### ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

მოგმართავთ თხოვნით, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს დაჩქარებული წესით უზრუნველყონ:

1. შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალების საბაზრო ღირებულების დადგენა.

შემოსვლის თარიღი: 03.12.2013წ

გასვლის თარიღი: 13.12.2013წ

### დასკვნა

ქ. გარდაბანში მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 81.15.30.073 მდებარე შენობა-ნაგებობება №01/1-ის სადემონტაჟო სამუშაოების

ზაზა კაციტაძე

## გამოკვლევა

ექსპერტის დასკვნის მომზადება წარმოებს ადგილზე აზომვების შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოქმედი ტექნიკური ნორმების ურთიერთშედარების მეთოდით.

როგორც წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვევა გამოსაკვლევი ობიექტი მდებარეობს ქ. გარდაბანში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 81.15.30.073 მდებარე შენობა-ნაგებობა №01/1-ის სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების შედეგად მეორადად გამოყენებადი სამშენებლო მასალების მოცულობების დადგენა.

დემონტაჟის შედეგად გამოსადეგი სამშენებლო მასალების რაოდენობის და მოცულობის დასადგენად ჩემს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი აზომვითი სამუშაოები. აზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით დადგინდა, რომ ქ. გარდაბანში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 81.15.30.073 მდებარე შენობა-ნაგებობა №01/1-ის სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების შედეგად შესაძლოა ამოღებულ იქნას მეორადად გამოყენებადი სამშენებლო მასალები კერძოდ:

რკინა-ბეტონის სვეტი 6 მეტრიანი - 480 ცალი;

რიგელი 6 მეტრიანი - 336 ცალი;

გვერდითი პანელი - 165 ცალი;

გადახურვის ფილა - 615 ცალი;

(შენიშვნა) მასალათა ზუსტი მოცულობის დადგენა შესაძლებელი იქნება, რიდესაც მოხდება აღნიშნული სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება.

ზურაბ კლდიაშვილი

ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ქ. გარდაბანში ექსპერტს წარედგინა შენობა-ნეგებობა, რომელსაც ჩაუტარდა შესაბამისი სასაქონლო გამოკვლევა. აღნიშნული შენობის შეფასება ხდება დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულებით. შენობა N01/1-ის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ შენობაში ჩაედინება ატმოსფერული ნალექები რაც უარყოფითად მოქმედებს ლითონის ჩასადები დეტალებისა და მზიდი კონსტრუქციების შეერთების კვანძებზე, დემონტირების შემდგომ სამშენებლო მასალების მეორადად გამოყენება მიზანშეწონილი არ არის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასალებში ჩადებული ლითონის დეტალები (არმატურა) მათი ამოღების შემდგომ.

005649513

## ექსპერტის დასკვნა № 005649513

ექსპერტის მიერ საქონლის საბაზრო ღირებულება დადგენილია შედარების მეთოდით, რაც დაფუძნებულია შესაფასებელი ობიექტის მსგავსი გაყიდული ობიექტის ფასის შედარებაზე. ყურადღება გამახვილებულია ანალოგიური ქონების ყიდვა გაყიდვის საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც განხორციელდა ტიპიურ საბაზრო პირობებში და მაქსიმალურად მიახლოებულია შეფასების თარიღთან.

გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების შეჯერების და გასაშუალოებით დაფიქსირდა შემდეგი საცალო-სარეალიზაციო ღირებულებები ლარებში:

| # | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის საბაზრო ღირებულება | მთლიანი საბაზრო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რკინა-ბეტონის სვეტი 6 მეტრიანი | ცალი | 480 | 20 | 9600 |
| 2 | რიგელი 6 მეტრიანი | ცალი | 336 | 15 | 5040 |
| 3 | გვერდითი პანელი | ცალი | 165 | 40 | 6600 |
| 4 | გადახურვის ფილა 1,50X6 | ცალი | 615 | 60 | 36900 |
| | ჯამი | | | | 58140 |

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქ. გარდაბანში არსებული (საკადასტრო კოდი 81.15.30.073) შენობა-ნაგებობა №01/1-ის დემონტაჟის შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულება 2013 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 58140 ლარს;

ზაზა კაციტაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

005649513

ექსპერტის დასკვნა № 005649513

ფოტოილუსტრაცია





ფოტო 1

ფოტო 2





005649513



ფოტო 5



ფოტო 6



